№ 36 თებერვალი 16, ხუთშაბათი 1889 თებერვალი 16, ხუთშაბათი № 36

# ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889 1877—1889

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

ტფილისის ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი აცხადებს საყოველთაოდ, რომ, ტფილისის ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ 19 დეკემბერს 1888 წელს, ხუთშაბათს, 16 თებერვალს, ვანქის ტაძარში, დილის 11½ საათზედ, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის გრაფის მიხეილ ტარიელისძის ლორის-მელიქოვის საფლავზე. (2—2)

პარასკევს, 17 თებერვალს,

ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში

დანიშნულია

ბ ა ლ ი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

ბალი დაიწყება საღამოს 9 საათზედ.

ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოჭრილ კაბებითაც მობრძანდნენ.

ფასი ბილეთისა 2 მანეთი.

ბილეთები ისყიდება სტ. ჩარახჩიანოვის მაღაზიაში, რენიეს საკონდიტეროში და „კრუჟოკის“ შვეიცართან. (4—3)

დიდ-მარხვაში, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, ყოველ კვირა საღამოობით

ისაუბრებენ ქართულად

ქრისტიანობრივს სარწმუნოებასა და ზნეობაზედ

მღვდელნი ამა ეკკლესიისანი: მაჭარაშვილი, თოთიბაძე და მასწავლებელნი: ურჩელიძე, ნატროშვილი, ჯანაშვილი და მარჯანიძე. (3—2)

ტფილისი, 15 თებერვალი

ამ რამდენისამე წლის წინად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ განიზრახა სახალხო სიტყვიერების ნაწარმოებთა შეგროვება, მიჰმართა ქართველობას და სთხოვა დახმარებოდა ამ საგულისხმო საქმეს. „საზოგადოებამ“ შემკრებელთა სახელმძღვანელოდ დაბეჭდა პროგრამა, რომელშიაც ვრცლად და გასაგებად ნაჩვენები იყო, თუ რას უნდა ათხოვონ ყურადღება შემკრებლებმა და რა და როგორ უნდა ჩასწერონ. „წერა კითხვის საზოგადოებას“ მაშინვე რომ გამოსჩენოდა დამხმარენი, უეჭველია დღემდე დიდ-ძალი ზღაპარი, ლეგენდა, ლექსი, ანდაზა და სხვ. გვექნებოდა შეკრებილი და მით საძირკველი დაედებოდა სახალხო სიტყვიერების შესწავლასა და ძიებას. მაგრამ სამწუხაროდ განზრახვა «საზოგადოებისა» შეუსრულებელი დარჩა და დღემდე საზოგადოებას თითქმის არა შეუგროვებია-რა და არც არა დაუბეჭდია-რა.

რადგანაც სახალხო სიტყვიერების შეგროვება და ძიება აუცილებლად საჭიროა, ამიტომ „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობამ დაადგინა ხელ-მეორედ მიჰმართოს ქართველობას და სთხოვოს დახმარება. ამ გზობით საზოგადოებას განუზრახავს შეაგროვოს და დაბეჭდოს მხოლოდ სახალხო ზღაპრები და ლეგენდები. ამისათვის იგი სთხოვს ყველას, ვისაც რაიმე ზღაპარი და ლეგენდა ეპოვება და ან შემდეგში მოიპოვებს, საზოგადოებას მიაწოდოს დასაბეჭდად.

რა თქმა უნდა, რომ „წერა-კითხვის საზოგადოების“ განზრახვა ფრიად საყურადღებო და საგულისხმო უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო სიტყვიერების შეკრებასა და ძიებას არა მარტო მწერლობისათვის, არამედ ხალხის ცხოვრებისა და ზნეობა-გონების გამოსაკვლევად. არც ის უნდა დაივიწყონ, რომ რაც დრო მიდის, მრავალი ნაწარმოები სახალხო სიტყვიერებისა თანდათან იკარგება და ირყვნება და რაც უფრო ადრე ჩავეჭიდებით სახალხო სიტყვიერებას, მით უფრო დიდს სამსახურს გავუწევთ მწერლობას და ჩვენის თვით-მცნობელობის წარმატებას. დღემდე ხალხის სიტყვიერება ძალიან ნაკლებად გვაქვს შესწავლული და გამოძიებული და სხვათა შორის ეს არის იმისი მიზეზი, რომ ხალხის წარსული და აწმყო ცხოვრება არა გვაქვს საკმაოდ გაცნობილი. ამიტომაც ხალხის სიტყვიერების დავიწყება და უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუწყნარებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს დაწინაურებულს ქართველობას.

ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი სახალხო სიტყვიერება მეტად მდიდარი უნდა იყოს. ჩვენს ერს იმდენად ხანგრძლივი ისტორია აქვს, იმდენი შავი და ბედნიერი დღე უნახავს, რომ უეჭველია მრავალ საუკუნოთა განმავლობაში ვრცელი სიტყვიერება უნდა შეექმნა. ამას საკმაოდ ჰმოწმობს უკვე აქე-იქ შეგროვილი და დაბეჭდილი ნაწარმოები ხალხის სიტყვიერებისა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ქამად ქართველობა კვლავინდებურად უყურადღებოდ არ დასტოვებს „წერა-კითხვის საზოგადოების“ განზრახვას და რამდენადაც შეეძლება, ხელს მოუმართავს.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ კარგი იქნება „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ კიდევ ერთხელ დაჰგზავნოს პროგრამა შემკრებელთა სახელმძღვანელოდ.

ა, ს—ი

## ახალი ამბავი

*** ბ-ნს არტურ ლეისტს დაუწერია სამი მოთხრობა ქართველთა ცხოვ-

# ფელეტონი

## დრამატიული წერილი

### II

ციმბირელი, კომედია ოთხს მოქმედებად ავქ. ცაგარლისა.

ორს თებერვალს ქუთაისის დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ეს კომედია. პარტერი თითქმის სავსე იყო, რაიოკი — გაჭედილი, წარმომადგენელთა ეტყობოდათ გულ-მოდგინეობა: რაც შეეძლოთ კარგად მომზადებულიყვნენ... მაგრამ... მაგრამი ეს არის: „რა ჰქმნას კარგმან მონარდემან, თუ დუშაში არ მოუა“.

კომედიის აზრი შემდეგია: ერთს ფრიად გამდიდრებულს სოვდაგარს იოანე უსტაბაშს აუყვანია სამადლოდ ერთი ვინმე პაწია უპატრონო ღარიბი ბიჭი. ის გამომდგარა ძალიან მარჯვე, მალე შეუსწავლია ვაჭრობის ხელობა დაჩინებულადაც გაწაფულა. ალისათვის თავი შეუყვარებია. იოვანეს გაუხდია იგი პრიკაშჩიკად. ვაჭრული წესია, რაკი პრიკაშჩიკი ალაზე უფრო დახელოვნდება აღებ-მიცემობის საქმეში, მერე ალა შეიამხანაგებს და მოგების ნახევარს დაუნიშნავს, ოღონდ არ იპაროს და ერთგულად მოექცეს ალის ქონებას. იოვანე უსტაბაშიც ამ ნაირათვე მოჰქცევია თავის პრიკაშჩიკს ტიგრანა მაზუთიანს.

მაგრამ ტიგრანამ ნახევარს მთელი ირჩია. ის თავის მამის მაგიერს მოკეთეს და მოწყალეს ალას მიეპარება მძინარეს, უტენის ჩექმებში და ჯიბეებში ყალბ ასსიგნაციებს და შემდეგ აბეზღებს მთავრობასთან. საწყალს იოვანეს უეცრად დაესხმიან პოლიციელები, შეჰკოჰვენ და ციმბირს გაუსაჭებენ.

ტიგრანა ჰხდება დიდ ტრიფონ ბალდანიჩად, დააჯდება თავზე საწყალის ციმბირელის ყოფა-ცხოვრებასა. გადის თითქმის ოც-და-ხუთი წელი. ტრიფონს თავის მოკეთისა და გამზრდელის ცოლ-შვილი სარდაფში ჰყავს გამომწყვდეული. გავარდება ხმა, რომ ციმბირელი მომკვდარაო. ტრიფონსაც ხომ ეს უნდოდა. ის მოსძებნის ერთს სულით წაწყმედილს ქლესა ადვოკატს, აკეთებინებს იმას უკანა რიცხვებით ყალბ თამასუქებს იოვანე უსტაბაშის სახელზე. მკვდარი ხომ ვეღარ ამოვა საფლავიდგან, რომ სიყალბე შეუმოწმოს და მოსყიდულს ცოცხალს მოწმებს ზედ უწერიათ ხელი თამასუქებზე. ვინღა შეედავება იოვანე უსტაბაშის ქონებაზე. ამ უსჯულომ ის არ იკმარა, რომ მამა ციმბირს გაგზავნა და იქ ჩაჰკლა, ეხლა იმის ცოლ-შვილსაც უპირებს გარეთ ცარიელ-ტარიელზე გამოსხმას.

„აღარ მინდა მუქთათ გაჭამოთო“, დაუყვირებს მაზუთიანი იოვანეს შვილს ნიკოლის.

ეს არის, ბოლო მიეცა ამ საშინელს ბოროტ-მოქმედებასაც. მაზუთიანი, ნიკოლა და მისი სიძე სტეფან მაკარიჩი ერთად არიან. მაზუთიანს უნდა რაღაც ანგარიშები გაუკეთოს ამ უბედურებს, ზარემც მორჩეს მათ დავიდარაბას და ბოლოს არხეინად მოისვენოს. ეს უბედურებიც თრთიან. უეცრად გაჩნდება მაზუთიანის ზალაში იოვანე ციმბირელი. საკმაოა მხოლოდ მისი ორი-სამი სიტყვა და ყველანი იცნობენ. შვილი მამას ჩამოეკიდება კისერზე, მაზუთიანს თავ-ზარი დაეცემა, მაგრამ საქმეს ისევ კარგი ბოლო ეძლევა. გამოვიდა, რომ დამნაშავე აღარავინ არის, ყველანი მხიარულობენ.

თუმცა ამ კომედიას, როგორც თვით შინაარსიდგანაც სჩანს, სარჩულად უძევს ტრაღიკული ლეგენდა, სატირალი ამბავი უბედურის ცხოვრებისა, მაგრამ მისი მოქმედება სცენაზე სულ სასაცილოდ გამოდის. ალბად ამიტომ დაურქმევია ავტორსაც თხზულებისათვის კომედია. მართლაც ისეა დაწერილი და შექმნილი იგი, რომ თავიდგან ბოლომდის სიცილს ვერ იკავებს მაყურებელი. ნუ თუ საწყალ ციმბირელის ცხოვრების ამბავი საცინელია? მართალი კაცი ასე უბრალოდ ციმბირში გამოალპონ, იმისი უბედური ცოლშვილი ლამის მაზუთიანის სარდაფში გამოახრჩონ—თქვენმა მზემ,—ეს არაფერი სასაცილოა. და თუ სცენის მაყურებელი სიცილს ვერ იკავებს წარმოდგენის დროსა ეს იმასა ჰნიშნავს, რომ დრამატიული თხზულება სამასხაროდ ყოფილა დაწერილი. აქ საზოგადოებას აღარავითარი საგულისხმიერო აზრი აღარ გამოაქვს დრამატიულის თხზულებიდგან. საიდგან წარმოსდგა ასეთი შეუფერებელი დრამატიული მოქმედება? იქიდგან, რომ კაცის ავის გულის თქმის აღმოხატვა და სცენაზე მისი განხორციელება ვერ შესძლებია მწერალს. ვერც ის შესძლებია, რომ მართალის კაცის ტანჯვა მოქმედების სურათი განეხორციელებინოს მაყურებელთა თვალწინ. და თუ არც ერთი, არც მეორე არ შესძლებია ავტორს, მაშ რიღათი უნდა გაეცხოველებინა მის მიერ შექმნილი ცხოვრების სურათი?

მეტი ღონე არა ჰქონდა, იმას უნდა გამოეყვანა სცენაზე ძველი თავის საყვარელი ტიპები—პეტუა მიკიტანი, ანუ უკეთ ვთქვათ, პეტუა კინტო და პრიკაშჩიკი სტეფან მაკარიჩი. ეს ორი ქალაქის ვაჭრობის ნიადაგზე აღზრდილი ტიპი მართლაც რომ ავ. ცაგარლის ნიჭით არიან შექმნილნი. ეს ტიპები თვისის ორიგინალობით და სინამდვილით ისყიდვენ მაყურებელთა თანაგრძნობას, განსაკუთრებით რაიოკის მცქერელთა.

პეტუას ოხუნჯობა და სტეფანე პრიკაშჩიკის სიმუხთლე, იმისი ლაჩრობა იყვნენ მიზეზნი, რომ რამდენმამე სამწუხარო მომენტმა თხზულებისამ სიცილ-კისკისით ჩაიარა.

აი ამ ტიპებმა გააქარწყლეს მკრთალად გამოყვანილი ცხოვრების უბედურების სურათი.

როცა წარმოდგენა გათავდა, ერთმა ინტელლიგენტმა ჰკითხა მეორეს:

—ნეტავ რა იყო ეს წარმოდგენაო?

—ღომხალიო,—მიუგო მეორემ.

ამაზე უფრო მკაფიოდ, მოკლედ და მართლად აღარ შეიძლებოდა ამ თხზულების დაფასება.

მოვყვეთ ცალკე ტიპების შესწავლას. განვიხილოთ თითონ ციმბირელი, ეს უსამართლოდ დასჯილი მოხუცებული. ნეტავ რა წარსული აქვს ამ კაცსა?

— ამბობენ, რომ იოვანე უსტაბაში, ეს მდიდარი სოვდაგარი, პატიოსანი კაცი იყოვო. რითი, რა ქველმოქმედებით დაიმტკიცა მან პატიოსნების სახელი?—მითი, რომ მან თავის მკერდზე აღზარდა ტიგრანა მაზუთიანი, ეს გველის წიწილი, რომელმაც მასვე მოუღო ბოლო?—არა ეს ქველმოქმედება-კი არა, უფრო ბოროტება ყოფილა. თუ ვაჭრობდა და არშინში ჩარექს იპარავდა, ეს ხომ არც პატიოსნება არის და არც ქველ-მოქმედება. ნუთუ ჩვენი სრული თანაგრძნობა მით უნდა დაიმსახუროს ამ უბედურმა, რომ ერთ დილას ყალბი ფულები უნახეს და ციმბირში გააქანეს? არა, მარტო ეს არა კმარა ჩვენის თანაგრძნობის მოსაპოვებლად. სანამდის გაასამართლებდნენ, იოანე უსტაბაში რამდენიმე თვეე უსათუოდ სატუსაღოშიაც იჯდებოდა. რატომ ერთი მაინც თავზარ-დასაცემი სურათი მისის უსამართლოდ ტანჯვისა ვერ მოგვაჩვენა ავტორმა სცენაზე, რომ ამ უბედურისადმი აღულებულიყო მაყურებლის გული? ეგ კითხვა ადვილია, მაგრამ ამისთანა ამათრთოლებელს ცხოვრების მომენტს შემომქმედი ნიჭი მწერლისა არ უნდოდა? კიდეც ეგ არის, რომ ჯერ ჩვენს მწერლობის ნიადაგზე არ აღორძინებულა ეგეთი ნიჭი, ცხოვრების გამოცდილებასა და ბუნებას ჯერ კიდევ არ მოუნიჭებია ჩვენთვის ეგ მადლი.

აი, ამიტომაც ციმბირელი, როგორც ტიპი, არ არის სრული, არ არის ჭეშმარიტი.

ტიგრან მაზუთიანმა მხოლოდ მას აქეთ გაბედა გულ-ამაყად ციმბირელისა და იმისის ცოლ-შვილის ქონების დაპატრონება, როცა ციმბირელის სიკვდილის ხმა გავარდა და ამ ხმამ ციმბირელის ცოლ-შვილსაც გამოაცალა უკანასკნელი ბურჯი იმედისა. ამას შემდეგ განა საკმაო უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისაგან: ერთი სახელად „ქეთევანი“, მეორე—„პეტრე და ნატო“ და მესამე—„ვარო“. ეს სამივე მოთხრობა უკვე დაუბეჭდიათ გერმანულ ჟურნალებში. „ქეთევანი“ დაბეჭდილია ყოველ თთვიურ ჟურნალში „Gesellschaft“; „პეტრე და ნატო“ სურათებიან ჟურნალში „Illustrirte Welt“ და მესამე „ვარო“ ჟურნალში, „Ueber Land und Meer“.

*** ყველიერის უკანასკნელს დღეებში სხვათა გასართობთა შორის ტფილისში მოსახსენებელია გახშირებული წარმოდგენები რუსულის ოპერისა და დრამატიულის სპექტაკლებისა. ამ დღეებში, როგორც სხვა დიდს დღესასწაულებშიაც, მაგალითად შობა-ახალწელიწადს, დილა-სალამოობით იმართება წარმოდგენები ბანკის თეატრში გუშინ დილით რუსული წარმოდგენა იყო და საღამოთი ქართული, დღეს კიდევ დილით დანიშნულია რუსული წარმოდგენა და საღამოთი სომხური. ასევე ხშირად იქნება წარმოდგენები ოპერებისა საზაფხულო თეატრში, სადაც ამ სამს დღეში წარმოდგენილი იქმნება დილა-საღამოთი ოპერები: ევგენი ონეგინი, ფენელა, ტრავიატა, დემონი, რიგოლეტო, რობერტ დიაბოლი და სხვანი. სამწუხაროდ, მხოლოდ ქართული წარმოდგენა აღარ იქნება ყველიერის უკანასკნელს დღეებში, სწორედ იმ დროს, როცა ხალხს მეტად ეჭირვება გართობა და როცა დიდის სიამოვნებითაც დადის ქართულს წარმოდგენაზე ჩვენი საზოგადოება.

*** ჩვენს ტფილისში ერთად-ერთი ლამაზი და რიგიანი ქუჩა სასახლის ქუჩაა და გოლოვინის პროსპექტი და ეს ქუჩები წესიერადაც უნდა იყოს მოვლილი. ამ მხრივ ჩვენი პოლიცია ცოტა ჰკოჰლობს და ჯეროვანს თვალ-ყურს არ ადევნებს. მაგალითებრ, ცირკის აქედგან თავ-მოყრილია ათასი ლუდხანები, ყავახანები, სადაც დღე და ღამ მთვრალის კაცის ფეხი არ შესწყდება ხოლმე. მაგრამ იქ კიდევ რა, გოლოვინის პროსპექტის საუკეთესო და თვალ საჩინო ადგილას, სწორედ „Нов. Обоз.“-ის რედაქციის ქვეშ, მიკუნჭულა სამიკიტნო ვიღაც ისა, რომელიც მეტად აუშნოებს იქაურობას ამას გარდა ეს სამიკიტნო გათენებამდე ღიაა და ერთი შედენ-გადენა და ოროხტრიალია დღეცა და ღამეც. არ ვიცით, რად აძლევენ ამ სამიკიტნოს გათენებამდე ვაჭრობის უფლებას. საღამოობით ამ სამიკიტნოს დარაბები თუმცა მიხურულია, მაინც შიგ ხალხი სავსეა და გზად ჩითახოვის სახლის ეზო აურჩევიათ ამ მხრივ ამ ეზოს მდგმურებს მთელი ღამე მოსვენება არა აქვსთ, რადგან მთვრალი მოქეიფენი ერთის ღრიანცელით გამოდიან იქიდგან.

*** ჩვენი თვით-მართველობა სულ იმის ტირილშია, რომ უფულობა ხელფეხს უკრავს და ამიტომ ვერა უნალვლია-რა ქალაქის გამშვენიერებისა და გალამაზებისათვის. ქუჩები თითქმის სულ ყველგან დაღროჩოღროვებულია, ტროტუარები გროშად არა ღირს, შუა-გულ ქალაქში არ მოიპოვება რიგიანი სასეირნო ადგილები, ბაზარი ყველგან გატარტლულია და თავის დღეში ტალახი არა ჰშორდება. ასეთს საცოდავ ყოფაშია საქალაქო ადგილები ტფილისში. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ზოგიერთი ხმოსანი საბჭოსი კარგადა ჰგრძნობს ამ ნაკლს ჩვენის ქალაქისას და უკვე შეტანილია სარჩიელი იმის შესახებ, რომ ღონის-ძიება რამ იპოვოს თვით-მართველობამ და უკეთესად მოაწყოს ტფილისი როგორც სისუფთავის მხრივ, აგრეთვე საზოგადოდ სანიტარულად. ეს საგანი უნდა წარსულ ორშაბათს განეხილა საბჭოს, მაგრამ კრება არ იყო დანიშნული. მაინც დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ჩვენმა საბჭომ მაგრე რიგად გამოიდოს თავი და მალე დაადოს სათანადო წამალი ამ სატკივარს ქალაქისას, სულ იმავ უფულობის გამო. ეს-კი არის, რომ თუ ჩვენი თვით მართველობა ფულს ვერ გამოიღებს ამ საგნისათვის, ის მაინც მოაგვაროს როგორმე, რომ უსუფთაო ადგილები გააწმენდინოს მამულის პატრონებს. ამისთანა ადგილები არის მრავალი ბაკები, საქონლის ეზოები და ქარვასლები. ზოგი მათგანი შიგ შუა ქალაქშია. აგრეთვე უნდა იფიქროს რამ რიყის შესახებ. ეს მოზრდილი ნაწილი ჩვენის ქალაქისა, მომწყვდეული შუაზე, თავიდამ ბოლომდე ჰყარს და ავრცელებს საზიზღარს სუნს მთელს თავისს მიდამოში, თითქმის სულ მალაკნები სცხოვრებენ რიყეზე, ყველასა ჰყავს საკუთარი ცხენი, იქვე გვერდზე მტკვარი ჩამოუდით და მაგაზე ადვილი არა იქნებოდა-რა, რომ ყოველს მცხოვრებს რიყისას ვალად დაადოს ქალაქმა უსუფთაობის გატანა და თუნდა იმავ მტკვარში გადაყრა.

დროა ითავოს ქალაქმა ასეთი უხარჯო საქმე მაინც, თუ ხარჯის გაწევას ასე გაურბის.

*** ფორკატის რუსულ დასს განუზრახავს სადიდმარხვოდაც ტფილისში დარჩეს და ეხლა სცდილობს ნება აიღოს დიდ მარხვაში წარმოდგენების მართვისა.

*** სოფ. ჩხერი (შორაპნის მაზრა): ეს თებერვალი სწორედ რომ უბედურის ფეხით გვესტუმრა, ორს თებერვალს ჩვენ დავმარხეთ ერთი პატიოსანი და მხნე მღვდელი გიორგი ხარაძე. ეს მღვდელი იმდენად პატიოსანი და სამაგალითო კაცი იყო, რომ საჭიროდ მივაჩნია იმისი სახელი გაზეთშიაც მოვიხსენიოთ. მამა გიორგი ფარცხნალის სამწყსოის მღვდელი იყო. თვისის ხანგრძლივის მწყემსობის დროს გასაოცარი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული როგორც თავისს სამრევლოში, ისე ახლო-მახლო სოფლებშიაც. განსვენებული მუდამ იმასა სცდილობდა, რომ ხალხისათვის ჩაეგონებინა სწავლა-განათლების საჭიროება. აგრეთვე ყოველს საზოგადო საქმეში მონაწილეობას იღებდა და რითიც შეეძლო, ყოველთვის მხარს აძლევდა ყველას, ვისაც დარიგება თუ შემწეობა ესაჭიროვებოდა.

ამიტომაც მამა გიორგის სიკვდილმა გული ჩასწყვიტა მთელს ჩვენს საზოგადოებას. განსვენებულის დასაფლავებაზე დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა. აქაურის მთავრის ინთაძის გრძნობით სავსე სიტყვამ დამსწრე ხალხს ბევრი ცრემლი დააფრქვევინა.

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: ქალი-ტელეგრაფისტი III ხარისხისა ალექსანდროპოლის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა მარია დებრივნისა—იქვე მე-V ხარისხის მოხელედ; ფოსტალიონი ალექსანდროპოლის კანტორისა ჰაიკ აფრიკიანცი—მე-IV ხარისხის მოხელედ იმავე კანტორაში.

დამტკიცებულ იქმნა ნამდვილს სამსახურში ფოსტა-ტელეგრაფის მე-VI ხარისხის მოხელე სუხუმის კანტორის პარმენ ლორთქიფანიძე, უფროსობით, 1885 წ. 1 დეკემბრიდგან.

გადაყვანილ იქმნენ: ტელეგრაფისტნი მე IV ხარისხისა კოლეჟსკი რეგისტრატორნი: ოჩემჩირისა—ტრიფონ მიქაბერიძე და სურამისა—ვლადიმერ კეკელიძე: პირველი ქუთაისს და მეორე ოჩემჩირეს.

დანიშნულ იქმნა: ვაკანსიით მე-45 დრაგუნის რაზმის პორუჩიკი მანუჩაროვი — შტაბს-როტმისტრად; კორნეტი გიორგი კობიაშვილი—პორუჩიკად უფროსობით და აგრეთვე მიხეილ კობიაშვილიც—პირველი 1888 წლის 23 მაისიდგან და მეორე 1888 წ. 18 ივლისიდგან. მე-46 დრაგუნის რაზმის კორნეტი ხეჩატურიანცი—პორუჩიკად უფროსობით, 1889 წ. 30 იანვრიდგან.

დათხოვნილ იქმნა დროებით თავისის სურვილისამებრ აშერონის ტელეგრაფის სადგურის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, გუბერნიის სეკრეტარი ჯაიანი, ქალაქ ტფილისს 6 თებერვლიდგან 20 დღით.

## უცხოეთი

საფრანგეთი. გაზეთები გვიამბობენ იმ დეპუტატის ამბავს, რომელმაც დაამხო ფლოკეს სამინისტრო. ეს დეპუტატია გრაფი დუვილ დე-მაილფე, რომელიც 1885 წლის არჩევანებზე მოჰყოლია დეპუტატების რიცხვში. ის იყო გრაფი შემლილების სახლიდამ გამოვიდა და დეპუტატად-კი იქმნა არჩეულიო. წინად ზღვათა უწყებაში მსახურებდა და ზრდილობაზედ ძალიან ნაკლებად ბრძანდება. ლაპარაკში არავითარს უწმაწურს სიტყვებს არ ერიდება და ისეთს

---

და ყოფილიყო ვიღაც მიხრწნილის მოხუცებულის გამოცხადება სალდათის მაზარითა, მისი ორი-სამი ხიტყვა, რომ შვილსაც მაშინვე ეცნო მოხუცებული მამა და მაზუთიანსაც თავს ზარი დასცემოდა?..არა, ეს სრულებითაც არ უნდა ყოფილიყო საკმაო საბუთი, რომ იგი ეცნოთ. იმისის სიკვდილის ხმას რა გააქარწყლებდა, თუ არ რამდენისამე მისის წიგნის მიღება ჭირისუფლების მიერ, რომ, აი, განმათავისუფლეს, მე კარგად ვარო; ციმბირიდგან მოვდივარ, გზის ფული გამომიგზავნეთო. ჩვენ ამისთანა უტყუარ საბუთებს ვერა ვხედავდით სცენაზე და უამისოთ ძალიან ძნელი იყო ციმბირელის ცნობა, მეტადრე იმისთანა მიხრწნილის მოხუცებულისა, რომელიც ყმაწვილ კაცობაშივე მოჰშორებია თავის ცოლშვილს. თუნდ რომ შვილსაც ეცნო, განა ის საშინელი ბოროტ-მომქმედი კაცი, როგორიც იყო მაზუთიანი, ასე ადვილად იცნობდა და თას ვზარი დაეცემოდა?..

თუ-კი უბრალო პრიკაშჩიკობაში არ გაუჭირდა მისი დაღუპვა, როცა იოვანე უსტაბაშს ქვეყანა სიმდიდრით ხელში ეპყრო, განა ეხლა, როცა ტიგრანა დიდი ტრიფონ ბოლდანიჩი გახდა, ვერ მოახერხებდა საწყალის ნაციმბირალის მოკვლას. სანამ ის თავის ვინაობის საბუთებს წარმოადგენდა, მანამდის ხუთჯერაც გადააგდებინებდა ვისმე მტკვარში. მოყიდვა გაუჭირდებოდა ვისიმე ყაჩაღისა თუ..

თეთრის ლამბის ძაფით შეკონკვა დრამატიულის მომენტისა, აი, აბა, ეს არის!..

ახლა ტრიფონ ბოლდანიჩი მაზუთიანი განვიხილოთ ვინ არის, რა კაცი არის, რომელ ცხოვრების გარემოებას აღუზრდია ეს საძაგელი ბოროტ-მომქმედი?

„როგორ ჰბედავ შენ ჩემთან მოსვლას და ჩემის სახის დანახვას!—შესძახებს ციმბირელი!—შენ, რომელიც ქუჩაში გიპოვე, გაგზარდე, სიცივესა და შიმშილს აგაცდინე, კაცი გამოგიყვანე და შენ სამაგიეროთ ამისა ციმბირში დააკარგვინე მთავრობას ჩემი თავი, ცოლ-შვილი დამიობლე, აუარებელი ქონება წაართვი ამ საწყლებს, უბედურობის შვილებს!..“

მართლაც საკვირველია! ღარიბი, ქუჩის ბიჭი, შიშველ-ტიტველი, მშიერ-წყურვალი იოვანე უსტაბაშს და ეხლა ციმბირელს აუყვანია სამადლოდ, ჩაუცვამს და დაუხურავს, გამოუძღია, შემდეგ პრიკაშჩიკად გაუხდია, გაუმდიდრებია, ბოლოს თავის მოგების მონაწევრედაც გაუხდია. ნუ თუ ამდენის სიკეთისათვის ტიგრანა მაზუთიანი ემართლებოდა თავისს მამაზედ უკეთესს მამას ყელის გამოჭრას და მისის ცოლ-შვილის წყალში გადაგდებას?..

ჯერ ფიქრადაც რომ თავში გაივლოს კაცმა ასეთი საშინელი ბოროტება, ესეც ხომ უშველებელია?.. თორემ იმისი ასრულება ნეტა რა კაცის ბუნებამ დაიტია?!.

მერე ასეთს ულვთო გადაწყვეტილებას ბრძოლა არ უნდა?.. რა სატანის ხასიათი უნდა ჰქონებოდა, რა რკინის გული, რა დემონური გულქვაობა?..

განა ნიადაგი არ უნდოდა, რომ ზედ აღმოცენილიყო და დამწიფებულიყო მისი ხასიათი ათას ნაირს წინამორბედს ბოროტებაში?.., სად იყო, რატომ დრამამ არ გვიჩვენა ესეთი ნიადაგი, რომ ჩვენი მოსაზრება მისცემოდა გაშტერებას?..

ვთქვათ, რომ ერთი უბრალოდ დანთხეული მართალის კაცის სისხლის წვეთი გამოიწვევს მეორეს, მესამეს და ბოლოს მეასემაც. შემდეგ ასე გათამამებული ბოროტ-მომქმედი წარბსაც აღარ შეიჰმუხვნის მეასეჯერ კაცის კვლაში. მაგრამ სანამდის ასეთს გულ-ქვაობამდის მიაღწევდეს, ბევრი ხუთჯერაც გაგიჟდება... ასში და ათასში იქნება ერთმა აიტანოს ამდენი ქარიშხალი შინაგანის სულის ბრძოლისა და მაშინ ის სულ სხვა ერის კაცი შეიქნება. იმას სახეზე დაეკვრის დიდის ბოროტების დაღი. ის ჰხდება მაშინ ან მაკბეტი, ან იაგო.

განა ტიგრანა მაზუთიანს ასეთი ხასიათი ჰქონდა? ან იყო რაიმე ისეთი განსაკუთრებული ნიადაგი, რომელსაც შესძლებოდა მისი უმისოთაც ფუქსავატის სულის ძალა დაეფოლადებინა?.. ის უნირო და უმსგავსო იოანე უსტაბაშის უბეში ისე იყო გამოზდილი, როგორც ჩიტის ბახალა, სულ ცხელის სულის ბერვით და ტფილ-ტფილის საჭმელებით. ნეტავ რას უნდა გაემეხებინა მისი გული, რას უნდა ჩაეგდო მისს სუსტსა და ჩვილს გონებაში ესეთი სიმძულვარე, რომ ყელები დაუღადრა ამდენს მის მოკეთეს? ან-კი როგორ შეეძლო ასეთი ბოროტება იმ ღვთის გლახა ჩარჩს ვაჭარს, რომლისთვისაც მიხრწნილის მოხუცებულის ერთი შეძახება: „ტიგრანაო!..“ საკმაო იყო, რომ მიწას დანთხეოდა, შიშისაგან გამქრალიყო და ბოლოში მოეთხოვა: „შემიბრალეო“. არა, ამისთანა სუსტი არსება ვერც იმდენს ბოროტებას გაჰბედავდა და არც ჰქონდა ისეთი ნიადაგი. თვით ავტორმა მაინც-კი არ გვიჩვენა-რა-და!..

ტიგრან მაზუთიანს მართლაც რომ მაზუტით შეთხუპნულის ზნეობის მეტი ჩვენ ვერა ვუნახეთ-რა. ის სრულებით ცრუ მოსაზრების ნაყოფია და იმ ავტორს, რომელსაც ასეთი ტიპი მხატვრობითს დარჯაკში გამოუყალიბებია, ეტყობა, რომ სუსტად უცნია კაცობრიობის ცხოვრების კანონი და თვით კაცის შინაგანი სულის მოძრავი ძარღვი.

მე ვფიქრობ, ტრიფონ ბოლდანიჩ მაზუთიანი უფრო წაბაძვით მხატვრობის მკვიდრი შვილია, ვიდრე საკუთარი თვით-არსი დაკვირვებითი შრომის ნაყოფი, ვიცი კიდეც, სადა აქვსთ ამ ტრიფონ ბოლდანიჩებს თავისი სათავე. გადაათვალიერეთ სუნდუკიანცის კომედიები და იქ ბლომად ნახავთ მოფილოსოფე სოვდაგარს ზიმზიმოვებს, რომელნიც თავის ქურდვაჭრულს ანგარიშებს ბოკლის ფილოსოფიით ამართლებენ. ტრიფონ ბოლდანიჩმაც იოვანე უსტაბაშს ციმბირში აკვრევინა თავი, მისი წვრილი ცოლ-შვილიც უნდოდა წყალს გაეტანებია და ასეთს ბოროტებას ისეთ ნაირად გულ-ცივად სჩადის, თითქოს ბუზიც არ აჰფრენოდეს. რათაო, რის გულისათვის, რა უფლებით?.. ღმერთმა იცის, რის გულისათვის. ალბად იმის გულისათვის, რომ შემთხვევა მიეცეს ფილოსოფოსობისა. ამ ბოროტების შემდეგ ის მიაღწევს მაღალის ბოკლის ფილოსოფიის დედააზრებამდე და იქიდგან დაიწყებს ქადაგებას ცხოვრების ვითარებაზე: მე რომ გავმდიდრდი, ცამდის თავი ავიღე და თუ მრავალნი ჩემგან ისრისებიან, ეს რა ჩემი ბრალიაო! ასეა ცხოვრების კანონიო!.. კარგი და პატიოსანი, მაგრამ შენ ვინ მოგცა ეგ უფლება, რომ ღვთის გაჩენილი კაცი შენს მყრალსა და ბინძურს სტომაქს უმსხვერპლო?!.. როდესაც „ციმბირელის“ ავტორი და იმისი მოძღვარი ბატონი სუნდუკიანცი თავიანთ ზიმზიმოვებს და ტრიფონ ბოლდანიჩებს ასეთს სიბრძნეს ალაპარაკებენ, რატომ ერთხელ მაინც არ მოუვიდათ თავში ასეთი მარტივი მოსაზრება: არამც თუ უბრალო, მარტივის გულის კაცი, თვით საშინელი ბოროტ-მომქმედიც რაკი დაუკვირდება ცხოვრების უსამართლობასა და მისი გონებითი ძალა იმას განყენებითს ფილოსოფიის დედა-აზრამდე მიაგდებს, შემდეგ თვით ამისთანა ბოროტ-მომქმედსაც ხელი ჩამოუვარდება, თავის საშინელის წარსულის მოგონებით თავს ზარი ესხმის და შედის შენანებაში. მერე დაიწყებს თავის ქონების სამოწყალოდ გაცემას და ეკკლესიების სასარგებლოდ შეწირვას, არამც თუ თავს იწონებდეს ქვეყნის წინაშე ათას ნაირ ჩადენილ ბოროტებითა...

ფრიად სამწუხაროა, რომ ყველა კომედიები სუნდუკიანცისა ასეთს ცრუ ნიადაგზე არიან აგებულნი. ნუ თუ ჩვენმა დრამატურგმა, რომლისათვისაც ბუნებას თავისს მოძღვარზე მეტი ნიჭი მიუცია, უკეთესი მაგალითი და უფრო დიდის ნიჭის მწერალი ვერ მოსძებნა მისაბაძავად?..

„ციმბირელის“ დედა-აზრი და სრული მისი მოქმედებითი ძალა ორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდაზებსა და ნაკვესებს მოუთხრობს მსმენელთ, რომ ხშირად ყურებში თითი უნდა დიცოს კაცმა. თუ ვისმე აუხირდა, აღარ მოასვენებს, ვიდრე თავისას არ გაიყვანს. ჩხუბი და ხმა მაღლა ლაპარაკი ძრიელ უყვარს, ამიტომ ყველა ერიდება ამ კაცს. სა ცა უნდა იყოს, თეატრში, ბუფეტში, პარლამენტის ტალანში, ისე ყვირის და ღრიალებს, თითქო ჩემს სახლში ვარ და არავის არაფერს არ ვუშლიო. ვსთქვათ, პალატა აღელვებულია, საშინელი საერთო ყვირილია და ერთმანეთისა აღარავის არა ესმის რა. ამ დროს გიჟი უნდა იყოს კაცი, რომ გამოვიდეს და დაიწყოს ლაპარაკი იმ იმედით, რომ მომისმენენო. გრაფი-კი სწორედ ამ დროს წამოდგება ხოლმე სალაპარაკოდ. იტყვის სულელურს რასმე და გააშტერებს ყველას. პალატა, სმენად გადაქცეული, დაუწყებს ყურის გდებას ორატორს და ისიც მოჰყვება რახუნს. ამ სულელს დეპუტატს ბარე სამი სამინისტრო დაუმარხავს: სამინისტრო ფრეისინესი, ტირარისა და აგერ მესამე — ფლოკესი. ამ ხანად საქმე ასე იყო: პირველად ილაპარაკა ბარონმა მაკომ, როიალისტმა, და სთქვა, რომ გადავდოთ კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტი 8 დღითაო. ეს წინადადება არ შეიწყნარეს. ახლა წამოდგა ჩიტირეკია გრაფი და დაიწყო, რომ, თუნდა დამწვათ კიდეც, აქედამ არ წავალ, სინამ ჩემსას არ მოისმენთო. რესპუბლიკელმა გრაფმა სთქვა, რომ, 8 დღით-კი არა, დიდის ხნით უნდა გადავდოთ კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის განხილვაო. მიზეზები გრაფმა სხვა წარმოადგინა, ვიდრე ბარონმა მაკომ. პრეზიდენტმა პალატისამ თითქმის ყურადღება არცკი მიაქცია გრაფის ლაპარაკს. ფლოკე ლომივით წყნარად და თავ-მომწონედ ჩამოვიდა სამინისტროს კვარცხლბეკიდამ, როცა მის სარჩიელს უყარეს კენჭი. ფლოკე ჯერ დამშვიდებული იყო, არაფრისა არ ეფიქრებოდა. მერე უცებ გადატრიალდა საქმე. ფლოკეს უღალატეს ოპორტუნისტებმა, კონსერვატორებმა შავი კენჭი მისცეს მის პროექტს, ბულანჟე და მისი მომხრენიც, რომელნიც პირველნი იძახდნენ, რომ კონსტიტუციას გადასინჯვა ეჭირვებაო, მიემხრნენ ფლოკეს მოწინააღმდეგეებს და ნახევარ საათს უკან მელინმა, თავ-მჯდომარემ პალატისამ გამოაცხადა, რომ ფლოკეს წინადადება უარ-ყოფილია 307 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 218.

ფლოკე დიდად არა სწუხს ამ დამარცხებისათვის. როცა თავისი წინადადება შეჰქონდა, მაშინვე გამოაცხადა, რომ, თუმცა მირჩევდნენ ზოგიერთნი, ეხლა დრო არ არის მაგ პროექტის განხილვისათვისაო, მაგრამ მე ჩვეულებადა მაქვს, ჩემი სიტყვა შევასრულო ხოლმეო. როგორიც უნდა იყოს ფლოკე, ვითარცა მინისტრი, ეს-კი უეჭველია რომ იგი დიდად პატიოსანი კაცია.

ავსტრი-ვენგრია. ერთი ბერლინელი გაზეთი ამბობს მეიერლინგის უბედურობის გამო: იმპერატორი ფრანციოსები, როგორც სჩანს, მეტად სასტიკი და მრისხანე მამაა თავის სახლისა. ახალგაზდა ერც-ჰერცოგებს იმისი ძრიელ ეშინიანთ, თუმცა იმპერატორი მხოლოდ მაშინ მრისხანეობს, როცა საბუთი ეძლევა და საკმაო მიზეზები აქვს. ფრანც იოსებს თავის ძმასთან, მაქსიმილიანთან დიდი უსიამოვნობა ჰქონდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფრანც-იოსებმა მუშტი მოუღერა მაქსიმილიანს, რომელმაც ხმალზე იტაცა ხელი. მას უკან გადასწყვიტა მიელო მაქსიმილიანს საიმპერატორო გვირგვინი მეკსიკისა. ასეთივე უსიამოვნება, თუ არ უფრო მეტი მოუვიდათ ფრანციოსებს და ერც-ჰერცოგს ჰენრიხს, როცა იმან შეირთო ცოლად მომღერალი ქალი. ფრანც-იოსები ამაზე ისე გასწყრა, რომ ჰენრიხი ორს წელიწადს შვეიცარიაში იყო და თვალით აღარ დაენახვებია იმპერატორს. ასევე განრისხდა იმპერატორი, როცა შეამჩნია თავის ძმის წულებს, კარლოს ლუდვიგის შვილებს, რომ უწესოდ იქცევიანო. იმპერატორს თავისი შვილი რუდოლფი, მართალია, ძრიელ უყვარდა, მაგრამ იმასაც ხშირად გაურისხდებოდა ხოლმე. ვიდრე რუდოლფი ჯვარს დაიწერდა, დაახლოვებული იყო ერთ ქალთან, რომელიც იმასთან ერთად ბრიუსელშიაც წასულიყო ერთხელ, ესე იგი, იქ, საცა რუდოლფის დანიშნული იყო. ამის გამო საქმე იქამდე მივიდა, რომ ფრანციოსებმა შვილს უსაყვედურა, აფიცერი ხარ და აფიცრის სახელს-კი არცხვენო. მხოლოდ ასეთის შერცხვენით აალებინა რუდოლფს იმ ქალზე ხელი და ურჩია წასულიყო აღმოსავლეთ ქვეყნებში სამოგზაუროდ. პირველად, რუდოლფის ჯვარის წერის შემდეგ, ცოლ-ქმართა შორის თანხმობა და სიამოვნება სუფევდა. მაგრამ მალე ცოცხალმა და მოუსვენარმა ბუნებამ ერც-ჰერცოგისამ თავისი არ დაიშალა და რუდოლფის სახლში ხშირად მოსდიოდათ იჭვიანობის გამო ჩხუბი და უსიამოვნება ცოლ-ქმართ. ამ უსიამოვნობას ტირილი და ცრემლებიც მოჰყვებოდა ხოლმე. ამბობენ, რომ ღალატი რუდოლფისა შეატყობინა პირველად სტეფანიას მისმა დამ ლუიზა კობურგელისამაო.

პრინცესა სტეფანიამ იცოდა, რომ მეიერლინგის ციხე-დარბაზში ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე რუდოლფს ვიღაც ქალები. ორის წლის წინად, როცა სტეფანია მძიმე ავადმყოფი იყო, ცოლ-ქმარს შუა სრული გულციეობა ჩამოვარდა. შემდეგ შერიგდნენ-კი, მაგრამ გულ-წრფელი სიყვარული მათ შორის აღარა ყოფილა. ამტკიცებენ, ვითომ მემკვიდრე პრინცესა ორსულად იყო, მუცელი წაუხდა და მას უკან ექიმებმა გამოუცხადეს, რომ საეჭვოა შვილიერება კიდევ შეეძლოსო. თანდათან გაუგულ-გრილდნენ ერთმანეთს ცოლქმარნი, სტეფანიას, რომელსაც პირველში ძრიელ უყვარდა რუდოლფი, აუცრუვდა გული ქმარზე და შორს ქვეყნებში დაიწყო მოგზაურობაო. იმისი გაგულგრილება იქამდე მივიდა, რომ პატარა თავის ქალს, მშვენიერს ელისაბედსაც-კი, ყურადღებას აღარ აქცევდაო. გაგულგრილება უფრო მაშინ გაძლიერდა რუდოლფსა და სტეფანიას შორის, როცა აბაციაში ყოფნის დროს, სტეფანიამ შეამჩნია, რომ იქაც გაჩნდა ვიღაც თეთრ-ყირმიზი ქალი, რომლის ოქროს ფერის თმის ნაწნავებმა დასწყვეს რუდოლფი. მარია ვეჩერას ამბავი ხომ უკვე ათასნაირად იყო მოთხრობილი. ამბობენ, რომ ერც-ჰერცოგინია სტეფანია ალარავითარს საშუალებას არა ჰზოგავდა, ოღონდ-კი კვლავ დაებრუნებინა რუდოლფიო, მაგრამ ამაზე სიტყვის გაგრძელება ამ ჟამად უხერხული იქნება. ყველა ეს ამბავიო, ამბობს ბოლოს ბერლინელი გაზეთი, ისეთს მაღალ-ხარისხოვანის კაცისაგან შევიტყვეთ, რომ მის სიმართლეში ეჭვი არ უნდა გვქონდესო.

## წვრილი ამბები

რედაქტორს მეტად გავრცელებულის სასულიერო ჟურნალ „Christian Herald"-ისას, მქადაგებელს ბაქსტერს, ამას წინად ბირმინგამის დიდს თეატრში სიტყვა წარმოუთქვამს ქვეყნის დასასრულისა და დანთქმაზედ. სცენის ფარდაზედ დახატული ყოფილა წარღვნის ნადირნი, გველ-ვეშაპნი, ადამიანის ჩონჩხნი და სხვანი. ბაქსტერის აზრით, ათას წლოვანი მეფობა ანტიქრისტესი 1901 წლიდგან დაიწყება, მანამდე-კი ბევრი საშინელება მოხდებაო. ავსტრია თავისს დუნაის პროვინციებს გამოუთხოვებს, ინგლისი — ირლანდიასა და ინდოეთს. ამ აზრთა დასამტკიცებლად მქადაგებელს დაბადებიდგან მოჰყავდა თურმე ადგილები და ორის საათის განმავლობაში ლაპარაკი არ შეუწყვეტნია.

— ლონდონში გამოჩენილა ცხრა წლის მწერალი-ქალი, მისს ელზი ლესლი ლეიდი, ამერიკელი. ამ პაწია გოგოს თითონვე დაუწერია რეცენზია თავისის სცენაზედ თამაშობისა და ამასთანავე ახალ წლიდგან დაუწყია დღიურის წერა. ამას გარდა ელზი სწერს თურმე აგრეთვე პაწია მოთხრობას „ერთგული ივანე".

— საფრანგეთის საზოგადოებას, რომელსაც აზრად აქვს მონობა მოსპოს ამერიკაში, გადაუწყვეტია ამ გაზაფხულზედ გაგზავნოს ამ ქვეყანაში ახალი რაზმი მსურველთა. ამ საზოგადოების კრებაზედ წაუკითხავს კარდინა-

---

ტიპზეა აშენებული: იოანე უსტაბაშზე და ტიგრანა მაზუთიანზე, მაგრამ რაკი ეს ორი დედა ბურჯი კომედიისაგამოჩნდნენ ყალბნი, ცრუ გამოხატულებნის ნაყოფნი, მაშასადამე თვით მთელი კომედიაც, როგორც დრამატიული თხზულება, როგორც ხელოვნებითი ნაწარმოები, როგორც ერთი რამე მთელი და დასრულებული ცხოვრების სურათი, გონიერს კრიტიკას ვეღარ აიტანს, რადგან მას არ შეუძლიან არც ერთის კომედიის მიერ წამოყენებული საბუთი ცხოვრების უზნეობისა ნამდვილად აღიაროს და მაზედ მიუთითოს, მომაკვდინებელ სენად ჩარაცხოს საზოგადოების წინაშე.

მაგრამ თუმცა იგი მთელი არ არის, კერძო, წვრილმანი ტიპები-კი ზოგიერთები სწორედ მოსაწონად არიან შიგ გამოყვანილნი და კრიტიკასაც სიამოვნებით შეუძლიან აღბეჭდოს მათი სინამდვილე.

პეტუა კავკაველი ნამდვილი ტიპია ტფილისის კინტოსი, კარგი გამრჯელი ბიჭი, ამხანაგთან ამხანაგია, მსმელთან მსმელი და მოქეიფე, მტერთან მტერი.

ეს ტიპი საუკეთესო შვილია ამქრისა. დიდი ხანი არ არის, რაც ამ ტიპმა იჩინა თავი, აი სწორეთ იმ დროს, როცა ამქარს და მის განსაკუთრებულს წესდებულებას აუტყდა მტრობა. მართლაც ეს ამქრული წესდებულება ისეთს ისტორიულს ნიადაგზეა დამკვიდრებული, რომ ყველაზე უფრო იქ ინახებოდა ხელ-უხლებად ძველი ჩვენი სოვდაგრული ცხოვრება. ჩვენებური კაცი თავის თავისუფალი უწინდელის პირობებით ამ წრეში უფრო იყო ძარღვიანად. ახალმა მოდენილმა წყარომ საზოგადო წესდებულებისამ ვერ შეიშვნია, ვერ იმეზობლა ამქრობა და უნდოდა მისი გაუქმება. პირველი ბრძოლა ამქარსა და ახალ საზოგადო წესდებულებათა შორის გამწვავდა 1865 წელს. ამქარი გავიდა თავის მამა-პაპის საფლავზე და იქ შეჰფიცა მამა-პაპის სულს, რომ მან ძველს წესდებულებას არ უმტყუნოს. მართლაც ამ დროს ყველაზე უფრო ყოჩაღად, მხნეთ და უშიშრად თავი გამოიდვა ქალაქელმა კინტომ. მას აქეთ შეიქნა ქალაქის კინტო ყველასათვის საყვარელი, მას აქეთ იმას ხანდახან დესეტნიკის გალახვა თითქოს მოვალეობად აძევს კისერზე.

„რა ვიციო, — ეუბნება პეტუა ციმბირელს: — პატიოსნება რომელია? ძმა ბიჭისათვის თავს დავსდებ, საწყალს ვუშველი, სიმართლეს არ ვუმტყუნებ. იქნება ის არ არის პატიოსნება, ხანდახან რომ დესეტნიკს ვსცემ ხოლმე".

ეს ტიპი პირველად ჩვენმა მოხუცებულმა პოეტმა რაფიელ ერისთავმა გამოიყვანა ლიტერატურაში. იმან დაბეჭდა რამდენიმე სცენები კინტოს ცხოვრებიდგან „დროებაში", თუ არ ვსცდები, 1868 წელს. მაგრამ ისე სრულად და ისე სიმპატიურად, როგორც ავქ. ცაგარელსა, რომელიც კარგი გაცნობილია ტფილისის მოქალაქის ცხოვრებისა, არავის გამოუყვანია სცენაზე ეს ტიპი. მან სწორეთ რომ ხელოვნურად შეჰქმნა ეს ტიპი და ცხოვლად დაგვიხატა თვალ წინ. პეტუა კავკაველი, როგორც ტიპი, ჩინებული ხელოვნური ნაწარმოებია; ის ფრიად ნიჭიერად არის შექმნილი კომედიაში „ციმბირელი".

არა ნაკლებ ხელოვნური და ნიჭიერის კალმით არის გამოსურათებული მეორე ტიპი მაშო. ქალთა შორის ის სწორედ პეტუას შესაფერი არსება არის. თუმცა ობოლი, სხვის ანაბარაზე გაზდილი, მაგრამ ჭკუით, მოსაზრებით და გონების სისწრაფით ნამდვილი ქალაქური ცხოვრების პირმშო ასულია. რამდენადაც მე ვიცნობ ჩვენს ახალს ლიტერატურის ნაწარმოებს, მაშო სწორედ ახალი ტიპია, მხოლოდ ავ. ცაგარლისაგან დაკვირვებული და პირველად მის მიერ განცხოველებული. ეს ქართულის ცხოვრების ბუნებითი ნაწარმოები ვინ იცის რამდენად უფრო მაღლა დგას, როგორც ზნეობით, ისე გონებითის ძლიერებით, სკოლაში გამოზრდილს და განათლება მიღებულს, მაგრამ ხასიათით დალაჩრებულს ნარგიზაზე, ტრიფონ ბოლდანიჩის ასულზე. თუ-კი ეს უსწავლელი მაშო ჭკუა-გონებით ასე გადამეტებულია ეხლანდელს გიმნაზიაში გამოზრდილს ქალზე, იმას რომ მისის ბუნებისა და ჭკუა-გონების შესაფერი, თვით—არსის ნიადაგზე განაყოფიერებული სწავლა - მეცნიერება მიელო, მაშინ რაღა იქნებოდა. ბევრს ჩასაფიქრებელს მასალას გვაძლევს ეს უბრალო გოგონა თავისის ბუნებითის შემკულობით. სწორედ ყველას გვმართებს დიდი ფიქრი, თუ რა საშუალებით უნდა დაუბრუნდეს ქართულს ნიჭს მისი ბუნების შესაფერი გონებითი წარმატება, რომ იგი აღარ იჩაგრებოდეს მის შეუფერებელის სწავლა განათლებით. ვინც დაინახავს მაშოს სცენაზე, ყველას მოუვა თავში ეს გულ-საკლავი აზრი და, აი, ამისთვისაც დიდის მადლობის ღირსია ავ. ცაგარელი; მადლობის ღირსია იმისთვის, რომ იგი თვალწინ გვიხატავს უბედურებით მოვლენილს ჩვენის ცხოვრების ნაკლულევანებას.

არც სტეფან მაკარიჩია უფერული ტიპი, ავ. ცაგარლის ხელოვნებით გამოხატული. ეს არის სუსტის ხასიათის კაცი, ალის სიავკაცით შეშინებული, დალაჩრებული. ის ემორჩილება ცხოვრების უსამართლობას; ტრიფონ ბოლდანიჩის აჩრდილისაც-კი ეშინია. ეს არის ნამდვილი მხდალი სომეხი. არა ჰსურს წინააღმდეგობით გაჭირებაში ჩავარდეს, ბევრს, კაცის შეუფერებელს, მდგომარეობასაც გადიტანს, ოღონდ ლუკმა პური არ მოაკლდეს და მის ცოლ-შვილს არა გაუჭირდეს-რა. მის სილაჩრესა და სიმუხთლეს ძალიან ხერხიანად დასცინის პეტუა კავკაველი. მაშ რა ჰქნას უბედურმა!.. ერთი საწყალი, სუსტი რამ არსება არის ეს სტეფან მაკარიჩი, რომელსაც არც ავი შეუძლია და არც კარგი... ერთი ვინმე ქედ-მოხრილი არსება ცხოვრების უსამართლობისაგან შექმნილი.

ნიკოლი, ვანო, ციმბირელის შვილი, კი ვერ გამიგია ვინ არის, ან საიდგან გამომტყვრალა? ზნეობაზე და უსამართლობაზე ისე ჰქადაგებს ეს ყაფაზას შიგნით გაზდილი პრიკაშჩიკი, თითქოს რომელსამე უნივერსიტეტში დაესრულებინოს სოციოლოგიის კურსი. ნუ თუ ავტორმა არ იცის, რომ ზნეობის დედა-აზრების ქადაგება და პატიოსნებაზე ლაპარაკი ყაფაზას შიგნით შემზადებული ლანძილის შექამადი არ არის!?

დანარჩენნი პირნი კომედიისა ისე უფერულნი არიან, რომ, ვგონებ, მიკროსკოპით აღჭურვილმა თვალმაც ვერ გაარჩიოს, რა არსებანი დაცოცვენ სცენის ასპარეზზე.

რაიცა შეეხება თამაშსა, ქუთაისის დრამატიულმა დასმა სწორედ საუცხოვოდ აასრულა, ვგონებ მოთხოვნილებაზე მეტადაც, თავისი როლები. ეჟენია მესხის ქალი მეტად მოსაწონი რამ იყო მაშოს როლში.

ელ. მესხის ქალმა თვალ საჩინო წარმატება გამოიჩინა ნარგიზასროლში.

ზაქარია ნაკაშიძემ ადვოკატ ქლესოვის როლში საკვირველი გრიმი მიიღო სახეზე, როცა მის არშიყობას მაშოსთან შემოესწრო მისი საცოლო ნარგიზა. მისი მეტად მოძრავი სახე, ვფიქრობ, ბევრს კომიკურს გამომეტყველებას უნდა აწარმოებდეს. ეტყობა, დიდი კომიკური ნიჭი უნდა ჰქონდეს და, თუ-კი მეცადინეობას არ მოიშლის, ძვირფასი მოთამაშე იქნება ჩვენის სცენისა.

დ. მესხმა ჩინებულად განაცხოველა პეტუა კავკაველის როლი, მხოლოდ ვერ მოვუწონებ მას ერთს შეცდომას. იმას მეტად მთვრალად ეჭირა თავი სცენაზე, ისე ბარბაცებდა, თითქოს არაყით ყოფილიყოს გალეშილი. პეტუა ბიჭი თავისს დღეში ისე არ დათვრება, რომ ხელფეხი ველარ იხმაროს. ის მუდამ ზარხოშად არის და მხოლოდ ამ მდგომარეობაში იჩენს უალრესს თავის გონებითს ძალას. აკი თითონვე ამბობს, რომ ვსვამ, მაგრამ ღვინო არ მათრობსო.

ჯინოკმა უნაკლულოდ ითა[illegible] სტეფან მაკარიჩის როლი. რა[illegible] ხერხდებოდათ, არც ბა[illegible] მით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ლავიჟერის წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია: „ძილი და მადა დავკარგე და ადგილიდგან ვერც-კი დავძრულვარ. მარტო გრძნობა და მაქვს შერჩენილი და ვგრძნობ კიდეც, რომ ჩემის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ერთგული ვიქნები მონობის მოსპობის საქმისა, რადგან, ჩემის აზრით, ამ საქმეზედ წმინდა და საჭირო დღეს ქვეყნისათვის არა არის-რა.

— ალფონს დოდეს „Gymnaze“-ს თეატრის დირექციისათვის გადაუცია თავისი ახალი პიესა „La hutte pour la Vie“. ეს პიესა შინაარსით გაგრძელებაა თურმე ამავე მწერლის რომან „L'Immortel“-ისა.

— ყველაზედ პატარა გაზეთი მთელის ქვეყნის პირზედ მექსიკას გამოდის. ამ გაზეთს „დეპეშა“ ეწოდება და კვირაში ერთხელ იბეჭდება. გაზეთს სულ სამი სვეტი აქვს, სიგრძით 4 გოჯია და სიგანით 5. ამ გაზეთში მთელის ქვეყნის ყოველ კუთხიდგან იბეჭდება წვრილ-წვრილი ამბები.

— ამას წინად ს.-დენიში პოლიციის კომისარს ერთი მეტად ახირებულის მიზეზით თავის-მკვლელი კაცი უპოვნია. ვიღაც ს—ნს, დიდის შეძლების პატრონს, თავის მოკვლა გადაუწყვეტია, ჩაუცვამს სადღესასწაულო ტანისამოსი, თავი დაუვარცხნია, სავარძლის წინ გაღვივებულ ნახშირით სავსე მაყალი დაუდგავს და დაუძინია გამოუღვიძებლივ. იმის გამოსაქვეყნებლად, რომ სიყვარულის გამო არ ვიკლავ თავსაო, ამ კაცს წერილი დაუტოვებია, რომელშიაც სწერს, რომ მოსამსახურეებისაგან თავი მეტად მობეზრებული მაქვს და სიკვდილს იქით გზა აღარა დამრჩენია-რაო.

---

თიანის როლში და არც მამალაძეს ციმბირელის როლში ხელი არ დაუკლიათ, თუ რომ ეს პირები ნამდვილნი ვერ გამოვიდნენ სცენაზე, ეს ხომ მოთამაშეთა ბრალი არ იყო. ეს იყო თვით პიესის ნაკლულევანება.

მხოლოდ არ შემიძლია ამათ არ ვუსაყვედურო, რომ ქართული ლაპარაკის კილო აკლდათ. რამდენადაც დავაკვირდი, ესენი ბაძავდენ დრამატიზმში ბ-ნ კოტ. ყიფიანს და ცუდათაც შერებოდნენ.

მართალია, კოტე ყიფიანი კარგი დრამატიული აქტიორია, მაგრამ იმას რომ ქართული კილო არ უვარგა, ეს ყველამ იცის. ვინ არ იცის, რომ ქართულს საუბარს ძრიელის ხმის დაკვრა სიტყვაზე არ უხდება. ამას გარდა ბევრმა ისიც არ იცის, სად უნდა სიტყვას ნაზი დაკვრა. აი, ამ უცოდინარობით გააფუჭა კოტე ყიფიანმა სცენიდგან საუბარი. ხმის დაკვრისა წესი ქართულ საუბარში ძალიან მარტივი და ადვილი მისახვედრია. ყოველს ორ მარცვლოვანს სიტყვაში ხმის დაკვრა პირველს მარცვალზეა; ყოველს სამ-მარცვლოვანში აგრეთვე პირველ მარცვალზე; ხოლო ოთხ, ან ხუთ-მარცვლოვანს სიტყვებში ბოლო მარცვლიდგან მესამე მარცვალზე მოუწევს ხმის დაკვრა. ამას გარდა ქართულს ენაში ხმის დაკვრა უნდა იყოს ძრიელ მსუბუქად და ნაზად, ისე-კი არა, როგორც რუსულშია, ან რაჭულს გამოთქმაში. მართალია, სცენიდგან ლაპარაკი გარკვეულათ და აუჩქარებლად უნდა ისმოდეს, მაგრამ არც ისე გაჭიანურებული უნდა იყოს, რომ სიტყვები მარცვალ-მარცვლად გამოითქმოდეს და ნაწილ-ნაწილად ისმოდეს.

გ. წერეთელი

# დეპეშა

15 თებერვალი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს დადგენილება: ა) სამოსწავლო საბჭოში წევრად შეიძლება არჩეული იქმნას მხოლოდ ქრისტიანე. თუ გუბერნიისა ან მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი ქრისტიანე არ არის, სამოსწავლო საბჭოში თავ მჯდომარეობა უნდა იკისროს უფროსმა წევრმა; ბ) მწვალებელი, რომელიც საქვეყნოდ უქადაგებს ქრისტიანეთა თავისს ცრუ-მოძღვრებას, სცდილობს ისინი გადაიბიროს და მათთვის მღვდელთ-მსახურებას ასრულებს, უნდა დაისაჯოს კანონის 189 მუხლის ძალით იმ შემთხვევაში, თუ ქრისტიანეთა გადაბირება ვერ მოუხერხებია და გ) საქმენი სხვა-და-სხვა დანაშაულობათა გამო, რომელნიც ჩაუდენიათ მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისა და საეკკლესიო დაწესებულებათა წინააღმდეგ, უნდა მიენდოს მართლ-მადიდებელთ მოხელეთ: მოსამართლენი, პროკურორის უწყების მოხელენი და ნაფიცი მსაჯულები მართლ-მადიდებელნი უნდა იყვნენ. საგუბერნიო თუ სამაზრო პროკურორი, ოლქის სასამართლოს წევრი, თუ მდივანი არ უნდა ერიოს იმ საქმის განხილვაში, რომელიც ეხება მართლ-მადიდებელის სარწმუნოებასა და საეკკლესიო დაწესებულებათა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობას.

გუშინ სლავიანთა საზოგადოების სხდომა იყო. როგორც ანგარიშიდგან აღმოჩნდა, საზოგადოებას ჰქონია 209,646 მან. ბ-ნმა სლუჩევსკიმ წაიკითხა სიტყვა დოსტოევსკის მოსახსენებლად.

13 თებერვალს მოსკოვში გარდაცვალა პეტერბურგის კონსერვატორიის დირექტორად ნამყოფი დავიდოვი.

**პარიჟი.** რადიკალმა ლაფონმა პალატას წარუდგინა სარჩიელი მასზე, რომ ერთსა და იმავე კაცს ნება არ უნდა ჰქონდეს მრავალს თემში კენჭი იყაროს დეპუტატის თანამდებობაზე; სულ ბევრი, უნდა მიეცეს ნება ორს თემში იყაროს კენჭიო. ეს სარჩიელი, რომელიც ბულანჟეს წინააღმდეგ არის მიმართული, გადასცეს კომისას.

**ვენა.** მაისის თვეში ავსტრიის საგენერალო შტაბის რამდენიმე ოფიცერი წავლენ გალიჩიაში ერცჰერცოგის ხელ-მძღვანელობის ქვეშ. ამ ამ მოგზაურობაში მონაწილეობას მიიღებს გენერალი ბეკი.

პეტერბურგის ბირჟა, 14 თებერ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 44 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 149 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 275 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 254½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1889) წელიწადი.
ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თებერვალი 28 დღით არის.

16 დღე ხუთშაბათი. წმ. პამფილესი და სხ. კათოლ. წმ. იულიანესი. ხომეხ. წარმთან დიდებულისა და 1306 მხედრისა.—გამოცხადდა ტფილისის ქართველთა და სომეხთა ეკკლესიებში მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, 1801 წ.—ქეშმარიტი შუა-დღე 12—12. ტფილისში მზე ამოდის 6—37, ჩადის 5—49. მთვარე 29 დღისაა.

## ბაზრისადმი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

| | |
|---|---|
| თითრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ „ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ |
| მე-3 — . . . | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 „ |
| „ 2 „ | 8 „ |
| სუკი . . . . | 16 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 „ |
| ღორის ხორცი . . . | 10 „ |
| „ 2 „ | 9 „ |

# განცხადებანი

ისყიდება

თესლეულობა

ე. იმმერისა

და იმისის

შვილის

სავაჭრო სახლში.

ამ სავაჭრო სახლიდგან ეზიდებიან თესლეულობას მათის იმპერატორებითის უმაღლესობის კარისათვისაც.

ადრესი: მოსკოვს, მიასნიცკი ქუჩაზედ, ობიდინის სახლში.

მსურველს გაეგზავნება დიდ-ძალ სურათებიანი კატალოგი თესლეულობისა: ბოსტნეულობისა, მინდვრისა, ვარდისა და ყვავილისა, თუ გამოჰგზავნის 35 კაპ. ფოსტის მარკებით.

(15—13)

სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—2)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შექენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ლამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართალისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილითვის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. . | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| სამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი ჩახრუხაძისა . . . . . . . | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ლამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. | „ | 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ლამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ლამბაშიძისა . . . | „ | 5 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . | 10 მ.—კ | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

Доз. ценз. Тифлисъ 15-го Февраля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე